eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა

ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების მართვა.

სისტემას აქვს შემდეგი შესაძლებლობები:

- მომდევნო წლის წლიური და კვარტალური ნაერთი ბიუჯეტების მართვის მექანიზმი;
- პროგრამული ბიუჯეტის მართვის მექანიზმი;
- მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემდგომი დაზუსტებების პროცესის მართვის მექანიზმი, ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილების ცნობების გამოყენებით:
    - ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები;
    - სტრუქტურული ცვლილების ცნობები;
    - მიზნობრივი გრანტის ცვლილების ცნობები;
    - მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილების ცნობები.
- დინამიური ანგარიშგების სისტემა;
- სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების კონტროლის მექანიზმი;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების კონტროლის მექანიზმი;
- კლასიფიკატორების, პერიოდების, წლებისა და დაფინანსების წყაროების დინამიური მართვის მექანიზმი;
- სხვა სისტემებთან (eTreasury, eDMS) საინტეგრაციო ფუნქციონალი.

სისტემის უპირატესობები:

- სისტემის მარტივი და ინტუიტიური ინტერფეისი;
- სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების შესრულების დროის მინიმიზაცია;
- დახვეწილი კონტროლის მექანიზმები, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემის მომხმარებლის მხრიდან მექანიკური შეცდომის დაშვების ალბათობას;
- სისტემის ძირითადი განზომილებების დინამიურობა, რაც ცვალებად მოთხოვნებზე ფეხის აწყობის საშუალება იძლევა;
- მრავალი ენის მხარდაჭერა.

სისტემა შექმნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლებთან კონსულტაციით, რომელთაც აქვთ ბიუჯეტის მართვის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.